ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ოზურგეთი 25 ივლისი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე სურგულაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ოსიკო თოთიბაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

კომისიის წევრები: გია მამაკაიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამახურის უფროსი, დავით გორდელაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: დავით ღლონტი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მარინა დათუნაშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა კომისიის წევრი ლაშა თავაძე.

/თავმჯდომარეობდა ა. სურგულაძე/

დღის წესრიგი

მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (წმინდა გიორგისა და ყაზბეგის სარეაბილიტაციო სამუშაოები) შესყიდვისათვის ელექტრონული ტენდერის პროცედურის ჩასატარებლად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოსაცხადებელი დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ. გორდელაძე

მოისმინეს

მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (წმინდა გიორგისა და ყაზბეგის სარეაბილიტაციო სამუშაოები) შესყიდვისათვის ელექტრონული ტენდერის პროცედურის ჩასატარებლად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოსაცხადებელი დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცების შესახებ.

აღინიშნა:

კომისიის წევრმა, დავით გორდელაძემ, სატენდერო კომისიას წარუდგინა მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (წმინდა გიორგისა და ყაზბეგის სარეაბილიტაციო სამუშაოები) შესყიდვისათვის ელექტრონული ტენდერის პროცედურის ჩასატარებლად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოსაქვეყნებელი დოკუმენტაცია, თანახმად დანართისა.

კომისიის წევრმა, დავით გორდელაძემ ასევე აღნიშნა, რომ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის თაობაზე გამოსაცხადებელი ტენდერი, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით, მიზანშეწოლილი იქნება, გამოცხადდეს „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 39-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, რაც გულისხმობს ელექტრონული ტენდერის ჩატარებას ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე.

კომისიის წევრმა, ლაშა თავაძემ, სატენდერო კომისიას წარუდგინა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მინიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის N1316 განკარგულება, რომლის საფუძველზე, განკარგულების დანართი N46-ის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთში, დაზიანებული ქუჩების (გიორგაძის, სანაპიროს, ჯორჯიაშვილის, წმ. გიორგის, შევარდნაძის, გენიჩესკის, გორკის და ინგოროყვას ქუჩებზე და ინგოროყვას ქუჩის შესახვევში და ქალაქ ოზურგეთში ალექსანდრე ყაზბეგის მე-3 შესახვევი) სავალი ნაწილის ა/ბ საფარით მოწყობის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა, 2 325 565 ლარი. აღნიშნულ თანხას, როგორც სატენდერო კომისიის წევრმა, გია მამაკაიშვილმა აღნიშნა, ემატება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, 122 398 ლარი, შესაბამისად, შესყიდვის ჯამური სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2 447 963 ლარს.

კომისიამ, სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწოლილად მიიჩნია, რომ ქალაქ ოზურგეთში, დაზიანებული ქუჩების სავალი ნაწილის ა/ბ საფარით მოწყობის სამუშაოები დაიყოს პირობითად 3 ნაწილად და სამუშოების შესასყიდად გამოცხადდეს 3 ტენდერი; შესაბამისად, წინამდებარე ოქმში კომისიამ განიხილა ქალაქ ოზურგეთის ქუჩების - წმინდა გიორგისა და ყაზბეგის ქუჩების ასფალობეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესასყიდად ელექტრონული ტენდერის პროცედურის ჩასატარებლად შედგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია.

კომისიას ასევე წარედგინა ზემოთ აღნიშნული სამუშაოებიის ჩასატარებლად შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის თანახმად შესყიდვის ობიექტის ჯამური სავარაუდო ღირებულება შეადგენს 753 939 ლარს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ერთხმად მოიწონა სატენდერო კომისიამ და დაადგინა, რომ სრულ შესაბამისობაშია „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებასთან.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს და დამტკიცდეს, მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (წმინდა გიორგისა და ყაზბეგის სარეაბილიტაციო სამუშაოები) შესყიდვისათვის ელექტრონული ტენდერის პროცედურის ჩასატარებლად შედგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია.
2. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 39-ე მუხლით გათვალისწინებული ელექტრონული ტენდერის (NAT) გამოცხადება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 753 939 ლარი.

3. შესყიდვის კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი განისაღვროს შემდეგნაირად: 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, ხოლო კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 45233000 - გზატკეცილების, გზების მშენებლობა, საძირკვლის მომზადებისა და ზედა ფენის გადაგების სამუშაოები.

4. შეთავაზების ფასის კლების ბიჯი განისაზღვროს 9 000 ლარით.

5. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის ელექტრონულ სისტემაში განთავსება.

6. გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე:	ა. სურგულაძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	ო. თოთიბაძე
კომისიის წევრები:	გ. მამაკაიშვილი
	ლ. თავაძე
	დ. გორდელაძე
სატენდერო კომისიის აპარატი:	დ. ღლონტი
	მ. დათუნაშვილი